



საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები

მოსალოდნელი ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში

2018 წლის მარტის თვეში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შესულა.

სხვა მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილებები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილებები, რომელიც ეხება მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯად საქმეებს, განსაკუთრებულ განსჯადობას, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობასა და ღირებულებას.

ცვლილების თანახმად, მაგისტრატი მოსამართლეების განსჯადი საქმეების ღირებულება გაიზარდა 2000 ლარიდან 5000 ლარამდე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლს დაემატა მე-5 ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს შემდეგს: სარჩელები, რომლებიც გამომდინარეობს საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტების მიერ დადებული

(მათ შორის, ელექტრონული ფორმით დადებული) სესხის (კრედიტის) გაცემის შესახებ ხელშეკრულებებიდან, სასამართლოს წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

შეიცვალა სააპელაციო სასამართლოში ერთი მოსამართლის განსჯადი საქმეების ნუსხაც, კერძოდ, მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმეები, ქონებრივ-სამართლებრივი დავა, რომლის ღირებულება არ აღემატება 20 000 ლარს (კოდექსის ძველი რედაქციით იყო 10 000 ლარი), სააპელაციო საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების განჩინების თაობაზე, აგრეთვე შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავები შეიძლება ერთპიროვნულად განიხილოს სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლემ.

ცვლილების შემდგომ, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 2 000 ლარს (ძველი რედაქციით იყო 1000 ლარი). ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

სააპელაციო სასამართლოში ზეპირი მოსმენის გარეშე შესაძლო განსახილველ დავებს დაემატა საქმეები, როდესაც საჩივარი შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებას საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების



ძალაში დატოვების შესახებ, აგრეთვე თუ საქმე შეეხება უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვას და საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტების მიერ დადებული (მათ შორის, ელექტრონული ფორმით დადებული) სესხის (კრედიტის) გაცემის შესახებ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავებს.

მნიშვნელოვანი სასამართლო პრაქტიკა

საქართველოს სააპელაციო სასამართლომ საინტერესო განჩინება გამოიტანა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებით. საჩივრის ავტორს წარმოადგენდა სსიპ შემოსავლების სამსახური, ხოლო მოპასუხეები იყვნენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და ფიზიკური პირი.

საქმეზე სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდა საგადასახადო სამართლისა და მისგან გამომდინარე ურთიერთობებში უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხი.

სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს ცრუმაგიერ პირებად აღიარება, რაც დაკავშირებულია გადასახადების ამოღებასთან. ქონება, რომელზედაც მოსარჩელე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ითხოვს ყადაღის დადებას, წარმოადგენს მოპასუხის საკუთრებას,

რომელმაც შესაძლოა სასამართლო წარმოების ეტაპზე, ნებისმიერ დროს განახორციელოს ქონების განკარგვა, მათ შორის გასხვისება. ასეთ შემთხვევაში, თუ გამოყენებული არ იქნება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, იარსებებს იმის საშიშროება, რომ ქონება სხვა სუბიექტის საკუთრებად იქცეს, რაც მოცემულ საქმეზე აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში შეუძლებელს გახდის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას.

რაც შეეხება ქონების განკარგვის ვარაუდს და მოსალოდნელობას, ეს თავად დავის საგნის შინაარსიდან გამომდინარეობს; კერძოდ, განსახილველი სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს ცრუმაგიერ პირად აღიარება, რაც დაკავშირებულია გადასახადების ამოღებასთან, მსგავს შემთხვევაში სარჩელისაგან თავდაცვის ერთ-ერთ საშუალებას სწორედ მოპასუხის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება წარმოადგენს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, თუ სასამართლო დაადგენს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია გადასახადის გადამხდელის განსხვავება სხვა პირისგან და ეს პირი გამოყენებულია გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისთვის თავის არიდების მიზნით, ითვლება, რომ აღნიშნული პირები არიან ერთიმეორის ცრუმაგიერი პირები.

ქონების მესაკუთრე, რომელიც ითვალისწინებს რა იმ გარემოებას, რომ მოცემულ საქმეზე აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში იგი არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდება, სავარაუდოდ



ქონებას ფორმალურად სხვა პირზე გაასხვისებს (გადააფორმებს), რაც მოცემულ საქმეზე აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში შეუძლებელს გახდის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ქონების მესაკუთრის მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ხელოვნური სარეგისტრაციო ტრანზაქციის განხორციელებას, რომლის ყოველწუთიერი სამართლებრივი კონტროლის მექანიზმი არ არსებობს, სასამართლომ დაადინა, რომ სახეზეა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა, რადგან ამ უკანასკნელის მიზანია სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისთვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება.

მოცემულ შემთხვევაში, ერთ-ერთი მხარის - საგადასახადო ორგანოს ერთადერთი მიზანია (საჯარო მიზანი), არ შეფერხდეს გადასახადის ამოღება და მისი მიმართვა სახელმწიფო ბიუჯეტში.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ საჩივარი დააკმაყოფილა და ყადაღა დაადო მოპასუხეთა ქონებას.

აღნიშნული განჩინების სრულად ნახვა შესაძლებელია სააპელაციო სასამართლოს ვებ. გვერდზე საქმის ნომრით: N38/2727-17 (330310117002084106).

წინამდებარე წერილი შეიცავს ინფორმაციას საგადასახადო და საკანონმდებლო, ასევე, სასამართლო პრაქტიკის სიახლეების შესახებ. ჩვენ გამოვიყენეთ ყველა ძალისხმევა, რათა მოგვეწოდებინა სრული და ზუსტი ინფორმაცია. მიუხედავად ამისა, **ბეიკერ ტილი ჯორჯია** არ იძლევა გარანტიას, რომ მოცემულ წერილში არ იქნება უზუსტობები. წინამდებარე მასალა არ არის გათვლილი და არ უნდა იქნას მიღებული როგორც სამართლებრივი ან საგადასახადო რჩევა. ნებისმიერი შეკითხვით შეგიძლიათ მიმართოთ ჩვენს პროფესიონალებს.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ბეიკერ ტილი ჯორჯია, 44, კოტე აფხაზის ქუჩა
(მეიდან პალასი) 0105, თბილისი.

(+ 995 32) 2438 999

office@bakertillygeorgia.ge

www.bakertillygeorgia.ge

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია არის Baker Tilly International -ის დამოუკიდებელი წევრი. Baker Tilly International Limited-ი ინგლისური კომპანიაა. Baker Tilly International-ი არ უწევს პროფესიულ მომსახურებას კომპანიებს. ქსელის ყველა წევრი ფირმა არის დამოუკიდებელი იურიდიული ერთეული. შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია არ არის Baker Tilly International -ის აგენტი და მას არ აქვს უფლებამოსილება დააკავშიროს რამე თავის ქმედებასთან Baker Tilly International-ი ან იმოქმედოს Baker Tilly International -ის სახელით. არც Baker Tilly International-ი, არც შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია და არც Baker Tilly International-ის ქსელის რომელიმე სხვა წევრი არის რამე სახით პასუხისმგებელი ერთმანეთის ქმედებებზე ან შეცდომებზე. Baker Tilly-ის სახელი და მასთან ასოცირებული ლოგო გამოიყენება Baker Tilly International Limited-ის მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე.